



# მსესხებელ პირთა კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ალტერნატივების შეფასება

რეზიუმე

ირინა ღავრაშელიძე  
სტუ-ს დოქტორანტი  
E-mail: davrashelidze@yahoo.com

შესავალი

სტატიაში – „მსესხებელ პირთა კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ალტერნატივების შეფასება“ – მოცემულია მსესხებელ ფიზიკურ პირთა და იურიდიულ პირთა კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მოქმედი წესი. სტატიაში აღნიშნულია, რომ არცერთი მოქმედი მეთოდიკა არ არის სრულყოფილი და მათი მეშვეობით ვერ ხერხდება კრედიტუნარიანობის სწორი განსაზღვრა. ეს პრობლემა უდგას როგორც ბანკებს. ისე კომპანიებს და მსესხებელ ფიზიკურ პირებს. სტატიის ავტორი ასაბუთებს, რომ სწორედ ამან წარმოშვა ის ჭარბგაღიანობა, რომელიც დღეს უდგას საქართველოში ფუნქციონირებად მსესხებელ პირებს და ის კრიზისი, რაც მათ კრედიტების გადახდაში აქვთ. ბანკებმა სწორედ ვერ იანგარიშეს მათი გადახდისუნარიანობა, რის გამოც, დიდი რისკის წინაშე დადგნენ. ავტორი სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ მეცნიერებმა გააქტიურონ მუშაობა ამ მიმართულებით კრედიტუნარიანობის ერთი ინტეგრირებული მაჩვენებლის მისაგნებად.

**საკვანძო სიტყვები:** მსესხებელი; კრედიტუნარიანობა; სკორინგული მეთოდი; თვისობრივი შეფასება; რაოდენობრივი შეფასება; ფინანსური კოეფიციენტები.

მსოფლიოში ალბათ არ არსებობს კომპანია, რომელსაც საქმიანობის განსახორციელებლად საკუთარი სახსრები ყოფნიდეს. ამისთვის ისინი მიმართავენ ბანკებს კრედიტის ასაღებად. ბანკები კრედიტის გაცემამდე უპირველესად ამოწმებენ მსესხებლის კრედიტუნარიანობას, სხვადასხვა ბანკი ამას სხვადასხვა მეთოდით ახორციელებს, არ არსებობს ამის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა.

## 1. მსესხებელ ფიზიკური პირის კრედიტუნარიანობა

საბანკო პარქტიკაში ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის განსაზღვრისათვის, როგორც წესი, ორი ურთიერთდაკავშირებული – **ლოგიკური და სკორინგული** (Scoring – ბალური, ქულებიანი) მეთოდი გამოიყენება.

ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის შეფასების ლოგიკური მეთოდი საექსპერტო შეფასებაზე და პროგნოზირებაზეა დაფუძნებული და იგი პოტენციალური მსესხებელ-ფიზიკური პირის პიროვნული თვისებებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზით ხორციელდება. საექსპერტო შეფასების ჩატარებამდე, რომელსაც სპეციალისტი ექსპერტები უტარებენ მსესხებელს, ბანკს წინასწარ დადგენილი აქვს მსესხებელი ფიზიკური პირის „სტანდარტული სახე“. შეფასების დამთავრების შემდეგ ბანკის საკრედიტო მენეჯერი მსესხებლის კონკრეტულ სახეს, მის მდგომარეობას უდარებს „მსესხებლის სტანდარტულ სახეს“ და ამის მიხედვით ანიჭებს მას რისკის ჯგუფს.

სკორინგული მეთოდი მსესხებელ-ფიზიკური პირის საკრედიტო განაცხადის თითოეული პოზიციის მიხედვით ქულების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული. ცნობილია სკორინგული მეთოდით მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების ორი მეთოდიკა: პირდაპირი და ირიბი.

**პირდაპირი მეთოდიკით** დაგროვილ



ქულების ჯამს კრედიტის იმ ჯამს უდარებენ, რაზედაც მსესხებელი დასაბუთებულ პრეტენზიას აცხადებს. ეს მეთოდით იშვიათად გამოიყენება.

**ირიბი მეთოდით** დადგენილი ქულების ჯამი კლიენტის კრედიტუნარიანობის კლასის დადგენას ემსახურება.

სკორინგული მეთოდით მსესხებლის არჩევა პირველად ამერიკელმა მეცნიერმა დ. დიურანმა შემოგვთავაზა (XX საუკუნის 40-იანი წლები). მან მთელი რიგი მახასიათებლებით (წლოვანება, სქესი, დასაქმება და ა. შ.) სამომხმარებლო კრედიტის ამღები კლიენტები დაყო „კარგ“ და „ცუდ“ მსესხებლებად. ეს მან მოახერხა ამ მახასიათებლებზე ქულების მინიჭებით. მისი ქულების მისაღები რაოდენობა იყო 1,25 ან მეტი. ვინც ამდენ ქულას (ან მეტს) დააგროვებდა, ის კარგ მსესხებლად ითვლებოდა, ვინც ნაკლებს – ცუდ მსესხებლად.

ამჟამად გამოიყენება მსესხებელი ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის განსაზღვრის შემდგენილი სკორინგული შეფასება (იხილეთ ცხრილი):

ცხრილში ჩამოთვლილი პარამეტრების (მახასიათებლების) მიხედვით, რაც მაღალია მსესხებლის ქულები, მით უფრო უკეთესია.

სკორინგული მეთოდი საშუალებას იძლევა, ცხრილში მოცემული 9 მაჩვენებლის შეფასება მოხდეს 15-20 წუთის განმავლობაში და მსესხებელს სესხის მიღებაზე მიეცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ამიტომ არის, რომ ბანკებიც და კლიენტებიც ამ მეთოდს დიდ უპირატესობას აძლევენ.

## 2. მსესხებელ იურიდიული პირის კრედიტუნარიანობა

მსესხებლის კრედიტუნარიანობა ნიშნავს იურიდიული პირის შესაძლებლობას, სრულად და დროულად განთავისფლდეს თავისი სავალ ვალდებულებებისაგან.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში კლიენტის კრედიტუნარიანობა ანუ ბანკის ვალის დაბრუნების უნარი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რადგან მასზეა დამოკიდებული კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა.

ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ნ. ბუნგეს თავის ნაშრომში „კრედიტის თეორია“ მოყავს ფრანგი ბანკირის გამოხატულება: „ვენდობით რა ჩვენ კლიენტებს, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მათ პატიოსნებას. ის ჩვენ გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენ მოტყუებულნი არ ვიქნებით, ის ჩვენ გვაძლევს იმედს, რომ ისინი ანგარიშსწორებისას არ მოგვატყუებენ.

მათი საქმიანობით განისაზღვრება იმ პროცენტის იმედი, რომელსაც ჩვენ ველოდებით“.

ამრიგად, მსესხებლის კრედიტუნარიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტორი ბანკისთვის, რადგანაც იგი მოელის კრედიტის სახით გაცემული თანხისა და მისი პროცენტების დროულად მიღებას. არსებობს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების განსხვავებული მეთოდები, რომლებიც კი არ გამოირიცხავენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს. ამიტომ პრაქტიკაში საჭიროა მათი კომპლექსური გამოყენება.

დასავლეთში კლიენტების კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი. მათთან ამ მიზნით გამოყენებული მეთოდებიც ორ კატეგორიად (ჯგუფად) იყოფა:

1. მსესხებელი იურიდიული პირების კრედიტუნარიანობის გამოსათვლელი.

2. მსესხებელი ფიზიკური პირების კრედიტუნარიანობის გამოსათვლელი.

განვიხილოთ პირველი.

მსესხებელი იურიდიული პირების კრედიტუნარიანობის განსაზღვრას ახორციელებს ბანკის თანამშრომელი. მისი ამოცანებია:

➤ განსაზღვროს მსესხებლის არაეფექტიანი საქმიანობის შედეგად ბანკისთვის სესხის დაუბრუნებლობის საშიშროება;

➤ შეაფასოს მსესხებლის მენეჯმენტის ხარისხი;

➤ შეაფასოს სესხის უზრუნველყოფა;

➤ შეისწავლოს მსესხებლის საკრედიტო ისტორია;


➤ შესწავლოს ქვეყანაში ეკონომიკური ურთიერთობები.

მაშასადამე, იურიდიული პირის კრედიტუნარიანობა განისაზღვრება მისი თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასებით. რაოდენობრივ შეფასებაში შედის საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების შეფასება. თვისობრივში შედის საწარმოს საკრედიტო ისტორიის (ანუ რეპუტაციის), მართვის ხარისხის, სესხის უზრუნველყოფის (გირაო) და სხვა მახასიათებლების შეფასება. სქემატურად მას ასეთი სახე აქვს:

მსესხებელი იურიდიული პირის კრედიტუნარიანობის შესწავლას ბანკის საკრედიტო ოფიცერი იწყებს მისი ფინანსური მდგომარეობის გარკვევით. ამისათვის იგი იყენებს მის ბუღალტრულ ბალანსს და მოგება-ზარალის ანგარიშს. ამ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციით საკრედიტო ოფიცერი ანგარიშობს ფინანსურ კოეფიციენტებს, კერძოდ: ლიკვიდურობის კოეფიციენტებს, ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტებს, საქმიანი აქტივობის და რენტაბელობის კოეფიციენტებს.



| № | მაჩვენებლები                                                                     | მაჩვენებლის მნიშვნელობა და მისი შეფასება ქულებში |                    |                           |                |                 |
|---|----------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|--------------------|---------------------------|----------------|-----------------|
|   |                                                                                  |                                                  |                    |                           |                |                 |
| 1 | წლიური შემოსავალი:                                                               |                                                  |                    |                           |                |                 |
|   | ათასი ლარი                                                                       | <10                                              | 10-20              | 20-40                     | 40-60          | >60             |
|   | ქულა                                                                             | 5                                                | 15                 | 30                        | 45             | 60              |
| 2 | სესხის დასაფარავად ყოველთვიური გადასახადი პროცენტულად თვიურ წმინდა შემოსავალთან: | >40                                              | 30-40              | 20-30                     | 10-20          | <10             |
|   | ქულა                                                                             | 0                                                | 5                  | 20                        | 35             | 50              |
| 3 | ბანკში ანგარიში                                                                  | არა აქვს                                         | მოთხოვნამდე        | საშემნახველო              | ორი ანგარიში   | პასუხი არა აქვს |
|   | ქულა                                                                             | 0                                                | 30                 | 30                        | 50             | 0               |
| 4 | საკრედიტო ბარათის ფლობა                                                          | არა აქვს                                         | 1-ზე მეტი          | პასუხი არა აქვს           | -              | -               |
|   | ქულა                                                                             | 0                                                | 30                 | 0                         | -              | -               |
| 5 | საკრედიტო ისტორია                                                                | დარღვევები                                       | მონაცემები არ არის | თავისდროული დაფარვა       | -              | -               |
|   | ქულა                                                                             | 0                                                | 0                  | 30                        | -              | -               |
| 6 | მსესხებლის წლოვანება                                                             | >50                                              | ≥50                | პასუხი არ არის            |                |                 |
|   | ქულა                                                                             | 5                                                | 25                 | 0                         | -              | -               |
| 7 | საცხოვრებელი ადგილი                                                              | არენდა                                           | საკუთარი სახლი     | სახლის სრული მესაკუთრეობა | პასუხი არ არის |                 |
|   | ქულა                                                                             | 15                                               | 40                 | 50                        | 15             |                 |
| 8 | მუდმივად ერთ მისამართზე                                                          | <1                                               | 1-2                | 2-4                       | >4             | პასუხი არ არის  |
|   | ქულა                                                                             | 0                                                | 15                 | 35                        | 50             | 0               |
| 9 | ერთ საწარმოში მუდმივად მუშაობა                                                   | <1'1-2                                           | 2-4                | >4                        | პენსიონერი     | უმუშევარი       |



გარდა ამ კოეფიციენტებისა, მსესხებელი საწარმოს კრედიტუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება ამერიკელი მეცნიერის ე. ალტმანის  $Z$  – ანგარიში. იგი იანგარიშება ფორმულით.

$$Z = 1,2 \cdot X_1 + 1,4 \cdot X_2 + 3,3 \cdot X_3 + 0,6 \cdot X_4 + 1,0 \cdot X_5$$

ფორმულას რიცხვითი მნიშვნელობები მუდმივი სიდიდეებია, ხოლო  $X_1, X_2, X_3, X_4$  და  $X_5$  იანგარიშება შემდეგნაირად:

$$X_1 = \frac{\text{წმინდა საბრუნავი კაპიტალი}}{\text{აქტივები}}$$

$$X_2 = \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{აქტივები}}$$

$$X_3 = \frac{\text{საბალანსო მოგება}}{\text{აქტივები}}$$

$$X_4 = \frac{\text{აქტივების საბაზრო ღირებულება}}{\text{ნასესხი სახსრები}}$$

$$X_5 = \frac{\text{რეალიზაციიდან წმინდა ამონაგები}}{\text{აქტივები}}$$

თუ მსესხებლის  $Z$  – ანგარიშის სიდიდე ტოლია 2,675-ის მაშინ მსესხებელი წარმატებით მომუშავეთა რიცხვს მიეკუთვნება, ხოლო თუ  $Z < 2,675$  – ზე, მაშინ იგი პოტენციალური ბანკროტია.

მიუხედავად იმისა, რომ ალტმანის კოეფიციენტი უკეთესად აფასებს კომპანიის კრედიტუნარიანობას, მასაც აქვს ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოიყენება სააქციო საზოგადოებებისთვის, მათი რიცხვი კი სხვა სახის კომპანიებთან შედარებით მცირეა.

დღეის მდგომარეობით არ არსებობს მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის სრულყოფილი მეთოდიკა ანუ ისეთი, რომელიც ერთი, ინტეგრირებული მაჩვენებლით შეაფასებს მას. მეცნიერები მუშაობენ მის მისაგნებად.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

**BIBLIOGRAPHY:**

1. პაპასკირი რ. ლექციების კურსი საბანკო მენეჯმენტსა და კორპორაციულ ფინანსებში, თბ., 2012.
2. Петров А., Петрова В. Комплексный анализ финансовой деятельности банка, М., 2007.
3. ლუღუშაური ზ. ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015.
4. Ефимова О. Финансовый анализ, М., Алфа, 2007.

1. Papaskiri R. The term of lectures in Banking and Corporate finance, Tb. 2012.
- 2 . Petrov A., Petrova V. The complex analyze of financial deals of banks, I., 2007.
3. Gudushauri Z. Financial management, Tb.2015.
4. Efimova O. Financial Analyze,, I., Alfa, 2007.

## **THE EVALUATION OF ALTERNATIVES FOR DETERMINING CREDITWORTHINESS OF BORROWERS**

**IRINA DAVRASHELIDZE**

*doctoral of GTU*

*E-mail: davrashelidze@yahoo.com*

### **SUMMARY**

In the article - “ The evaluation of alternatives for determining creditworthiness of borrowers” – it is mentioned the rule of determining creditworthiness of physical and legal entities of borrower. The article notes that none of the existing methods are perfect and it is not possible to correct their creditworthiness correctly. This is a problem for banks, as well as for companies and borrowed individuals. The author of the article concludes that this is the reason why there are lots of debts for borrowers who are currently operating in Georgia and the crisis that they have to pay for credits. The banks could not calculate their solvency so that they are facing a high risk. The author raises the question that the scientists will have to activate their work on this direction to find one integrated credit index of credibility.

**Key words:** Borrower; Creditworthiness; Scholastic method, Qualitative assessment; Quantitative evaluation, financial ratios.